

09/09/2026



MES 3 26 0001184754

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 27 აგვისტოს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=84591182772>

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 1234

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში –საბჭო) წევრები:**

**ელენე კაკაბაძე** – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);

**ხათუნა ჩხარტიშვილი** – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

**ნათია ბუთხუზი** – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);

**გიორგი ვეკუა** – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

**ხათუნა ცერცვაძე** – სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე (საბჭოს წევრი);

**ეკატერინე გიგაშვილი** – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

**გოჩა გოგიტიძე** – სსიპ – სასწავლოს უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);

**გოგიტა მშვენიერაძე** – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლეჯ „კონტრუქტ2“-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი)

**სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ქეთევან ჭუჭულაშვილი** – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

**ნათია მჭედლიძე** – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

**საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:**

მიმოზა ღოლიჯაშვილი  
ბექარ კილასონია  
მაია გრიგალაშვილი  
ირმა არსენაშვილი  
ზაზა პაპიძე  
ზვიად ოდიშვილი  
მამუკა ხოშტარია  
დემიდ ფასიეშვილი  
დემეტრე დემეტრაშვილი  
ნათია მაწკეპლაძე  
ნინო ქიტიაშვილი  
რატი სხირტლაძე  
ცოტნე ქორჩილავა  
ია თავდიშვილი  
ზურაბ მესხიძე

**დაწესებულებების წარმომადგენლები:**

**სსიპ – კოლეჯი „ოპიზარი“**

დირექტორი – მერი სახამბერიძე  
ხარისხის მართვის სპეციალისტი – ინოლა გაჩეჩილაძე  
იურისტი – მავრა ტატალაშვილი  
ფინანსური მენეჯერი – ლიანა კაჭკაჭაშვილი  
საქმისმწარმოებელი – მაკა ბერიძე  
ბუღალტერი – ნათია ზამბახიძე  
საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი – მზია გაგლოშვილი  
სასწავლო პროცესის მენეჯერი – ლამარა თამარაძე  
სასწავლო პროცესის სპეციალისტი – ნინო სარაშვილი

**შპს „სქილვილი“**

კონსტანტინე შუბითიძე – აკადემიური დირექტორი  
ქეთევან ციხისელი – დირექტორის მოადგილე

**სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“**

დირექტორი – დავით მჭედლიშვილი  
ხარისხის მართვის კოორდინატორი – ნათია ევგენიძე

**საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:05 საათი.**

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის

მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

### **დღის წესრიგი:**

1. სსიპ – კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „ვეტერინარია“, „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“, „საფინანსო სერვისები“, „ხის მხატვრული დამუშავება“, „ელექტროობა“, „ინფორმაციის ტექნოლოგიების მხარდაჭერა“, „მსუბუქი ავტომობილების შიგა წვის ძრავას შეკეთება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს „სქილვილისთვის“ „Front-end პროგრამირება“, „ციფრული მარკეტინგი“, „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღაში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა.

**პირველი საკითხი:** სსიპ – კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „ვეტერინარია“, „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“, „საფინანსო სერვისები“, „ხის მხატვრული დამუშავება“, „ელექტროობა“, „ინფორმაციის ტექნოლოგიების მხარდაჭერა“, „მსუბუქი ავტომობილების შიგა წვის ძრავის შეკეთება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

### **საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაც ილება და/ან აცილება.

### **ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაც ილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მიმოზა ლოლიჯაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და წარმოადგინა ვიზიტის შედეგები, რომელიც განხორციელდა 2026 წლის 20, 21 და 22 ივლისს ქალაქ ახალციხეში მდებარე სსიპ კოლეჯ „ოპიზარში“ (მისამართი: შ. რუსთაველის ქ. №111). ვიზიტის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა შვიდი ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის — „მოდის ტექნოლოგიისა და დიზაინის“, „ვეტერინარიის“, „ელექტრობის“, „მსუბუქი ავტომობილის შიგა წვის ძრავას შეკეთების“, „ხის მხატვრული დამუშავების“, „ინფორმაციის ტექნოლოგიისა“ და „საფინანსო სერვისების“ დამატების მიზანშეწონილობისა და დაწესებულებაში არსებული პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. კოლეჯში ვიზიტამდე, 2026 წლის 18 ივლისს, ონლაინ ფორმატში შედგა ექსპერტთა ჯგუფისა და ცენტრის წარმომადგენლის მოსამზადებელი სამუშაო შეხვედრა. შეხვედრაზე ჯგუფის თავმჯდომარემ წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი, კოლეჯისგან მოსათხოვი დამატებითი მტკიცებულებების ნუსხა, ინტერვიუების სტრუქტურირებული კითხვარი და გაანაწილა ფუნქცია-მოვალეობები ჯგუფის წევრებს შორის, რის შედეგადაც დამტკიცდა ვიზიტის საბოლოო განრიგი. ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის სრული დაცვით, კომპლექსურად შეისწავლა დაწესებულების მართვისა და ადმინისტრირების პროცესებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. ჩატარდა ინტერვიუები კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალთან, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. ამასთან, დეტალურად დათვალიერდა კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ახალი პროგრამების სპეციფიკისა და მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, სახელოსნოები და ლაბორატორიები. აღნიშნული პროცედურების შედეგად ჯგუფმა შეაფასა კოლეჯის მიერ ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვისა და მართვის ეფექტიანობა, რის საფუძველზეც მომზადდა წარმოდგენილი დასკვნა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ შვიდივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ გამოვლენილა ხარვეზი. კოლეჯი სრულად აკმაყოფილებს ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შესაბამის სტანდარტებს. სავალდებულო რეკომენდაცია არ გაცემულა. თუმცა მოხდა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის შემცირება 6 პროგრამის ფარგლებში, მხოლოდ ვეტერინარიის პროგრამაზე დარჩა მოთხოვნილი 45 ადგილი.

გაიცა ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია:

**საგანმანათლებლო პროგრამა „ხის მხატვრული დამუშავება“ – ინდიკატორი 2.4.1.4 – რეკომენდაცია:** მიუხედავად იმისა, რომ სახელოსნოში (C გარემო) თვალსაჩინოდ იყო განთავსებული უსაფრთხოების ზოგადი წესები, სასწავლო საამქროში შრომის უსაფრთხოებისა და სტუდენტთა დაცულობის ხარისხის ასამაღლებლად, სასურველია თითოეულ დაზგასთან/ჩარხთან დამატებით განთავსდეს კონკრეტული, ილუსტრირებული (პიქტოგრამული) უსაფრთხოების ნიშნები. აღნიშნული უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ საფრთხეების სწრაფ აღქმას უშუალოდ სამუშაო ადგილზე და მინიმუმამდე დაიყვანს ტრავმების რისკს პრაქტიკული დავალებების შესრულებისას. ამასთან, თვალსაჩინო ვიზუალური მინიშნებები ხელს შეუწყობს სტუდენტებში უსაფრთხო მუშაობის ინსტინქტურ ჩვევასა და შრომის კულტურის ჩამოყალიბებას.

ექსპერტმა დეტალურად განმარტა და დაასაბუთა თითოეული პროგრამის მიხედვით სტუდენტთა კვოტის შემცირების მიზეზები:

**ვეტერინარია:** 45 ადგილი (დაწესებულების მოთხოვნის შესაბამისად); 14 პრაქტიკის ობიექტი უზრუნველყოფს სრულ გამტარუნარიანობას;

**მოდის ტექნოლოგია და დიზაინი:** 28 ადგილი (დაწესებულების მიერ მოთხოვნილი იყო 48); ექსპერტთა ჯგუფის მიერ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 42-იდან 28-მდე შემცირების დასაბუთება ეფუძნება C სასწავლო გარემოს (პრაქტიკული სივრცის) ფაქტობრივ გამტარუნარიანობასა და დატვირთვას. ვინაიდან პროგრამა სრულად კოლეჯის ბაზაზე ხორციელდება და არცერთი პრაქტიკული მოდული, მათ შორის „პრაქტიკული პროექტი“ და „საწარმოო პრაქტიკა“, არ მიმდინარეობს პარტნიორ ორგანიზაციებში, მთელი პრაქტიკული დატვირთვა სწორედ ამ შიდა სივრცეზე მოდის. კოლეჯის მიერ შემოთავაზებული გეგმა, რომელიც საშემოდგომო მიღებაზე 2 ჯგუფისა და საგაზაფხულო მიღებაზე 1 ჯგუფის დამატებას ითვალისწინებდა, ვერ ხსნის გადატვირთვის პრობლემას, რადგან საგაზაფხულო მიღებისას ძველი ჯგუფები ჯერ კიდევ აგრძელებენ სწავლას და სამივე 14-კაციანი ჯგუფის პრაქტიკული საათები ერთმანეთს ემთხვევა. შედეგად, C გარემო ფიზიკურად ვერ უზრუნველყოფს 42 სტუდენტის კვირეული დატვირთვით განსაზღვრული პრაქტიკული სწავლების სრულყოფილად ჩატარებას. არსებული მატერიალური, სივრცითი და ინფრასტრუქტურული რესურსების გათვალისწინებით, სასწავლო გარემო ოპტიმალური და საკმარისია მხოლოდ ორი 14-კაციანი ჯგუფისთვის, ანუ ჯამში 28 სტუდენტისთვის.

**ელექტრობა:** 7 ადგილი (დაწესებულების მიერ მოთხოვნილი იყო 45);

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ელექტრობა“ დაწესებულების მიერ მოთხოვნილი იყო პროფესიულ სტუდენტთა 45-იანი ზღვრული რაოდენობა. დოკუმენტური შესწავლისა და ადგილზე ვიზიტის შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯის შიდა ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემოები (№307, №308 და №402 აუდიტორიები) გათვლილია 15-ადგილიან ნაკადებზე.

პროგრამა ხორციელდება კოოპერაციული მიდგომით, რაც გულისხმობს პროფესიული მოდულების ცალკეული სავალდებულო სწავლის შედეგების რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას. დაწესებულებას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულებები სამ პარტნიორ ორგანიზაციასთან: სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ (7 ადგილი), შპს „არალი“ (14 ადგილი) და შპს „ახალციხე 23“ (14 ადგილი).

პარტნიორი ორგანიზაციების ადგილების მექანიკური დაჯამება (ჯამში 35 ადგილი) ვერ დაედება საფუძვლად სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრას, ვინაიდან აღნიშნულ ობიექტებზე მისაღწევი სწავლის შედეგები არ არის იდენტური. კერძოდ: მოდულის „ელექტროსამონტაჟო სამუშაოები“ №4 სწავლის შედეგი („შენობა-ნაგებობების ელექტრომოწყობილობების მონტაჟი და ტექნიკური მომსახურება“) და მოდულის „ელექტრული ტექნოლოგია“ №5 სწავლის შედეგი მიიღწევა მხოლოდ სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ბაზაზე. შესაბამისად, პროგრამაზე ჩარიცხულმა თითოეულმა პროფესიულმა სტუდენტმა აღნიშნული სავალდებულო კომპონენტები უნდა გაიაროს ექსკლუზიურად ამ ორგანიზაციაში. სს „ენერგო-პრო ჯორჯიასთან“ გაფორმებული №20 ხელშეკრულებით კი მკაფიოდ არის განსაზღვრული ერთ ჯგუფში არაუმეტეს 7 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობა.

დაწესებულების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი სტუდენტთა მონაცვლეობის დასაბუთებული გრაფიკი ან დამატებითი წერილობითი შეთანხმება, რომელიც უზრუნველყოფდა 7-ზე მეტი სტუდენტის მიერ აღნიშნული სავალდებულო სწავლის შედეგების შეუფერხებლად მიღწევას.

ამრიგად, პროგრამის განხორციელების მთავარ შემზღუდველ ფაქტორსა და რესურსს წარმოადგენს სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ 7-ადგილიანი ტევადობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ელექტრობა“ პროფესიულ სტუდენტთა შესაძლო დასაბუთებულ ზღვრულ რაოდენობად განისაზღვრა 7 პროფესიული სტუდენტი.

**მსუბუქი ავტომობილების შიგაწვის ძრავის შეკეთება:** 28 ადგილი (დაწესებულების მიერ მოთხოვნილი 42);

დაწესებულების მიერ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 42 პროფესიულ სტუდენტს (მათ შორის ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით). ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, აუდიტორიული ფართის, ინფრასტრუქტურისა და შენობის საერთო გამტარიანობის დეტალური შესწავლისა და შეფასების შედეგად, მოთხოვნილი კვოტა არ იქნა გაზიარებული.

შეფასების პროცესში დადგინდა, რომ კოლეჯში არსებული სასწავლო აუდიტორიები და მათი ფართობი ვერ უზრუნველყოფს ერთდროულად 42 სტუდენტის შესაბამის გარემოში განთავსებასა და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. არსებული ინფრასტრუქტურის გამტარიანობისა და ფართის ნორმების გათვალისწინებით, დაწესებულებას არ გააჩნია საკმარისი რესურსი აღნიშნული რაოდენობის სტუდენტთა ნაკადის მისაღებად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა (მათ შორის ინტეგრირებული ზოგადი მოდულების შემცველ სასწავლო გეგმაზე) განისაზღვრა 28 პროფესიული სტუდენტით - ორ ცვლაში სწავლების პირობით;

**ხის მხატვრული დამუშავება:** 28 ადგილი (დაწესებულების მიერ მოთხოვნილი 42);

დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ხის მხატვრული დამუშავება“ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 42 პროფესიულ სტუდენტს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, სახელოსნოსა და აუდიტორიული ფართის, სპეციფიკური აღჭურვილობის, ინფრასტრუქტურისა და შენობის საერთო გამტარიანობის დეტალური შესწავლისა და შეფასების შედეგად, მოთხოვნილი კვოტა არ იქნა გაზიარებული.

შეფასების პროცესში დადგინდა, რომ კოლეჯში არსებული სასწავლო/სამუშაო სივრცეები და მათი ფართობი ვერ უზრუნველყოფს ერთდროულად 42 სტუდენტის უსაფრთხო გარემოში განთავსებას, ინდივიდუალური სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფასა და სასწავლო-პრაქტიკული პროცესის შეუფერხებლად წარმართვას. არსებული ინფრასტრუქტურის გამტარიანობისა და ფართის ნორმების გათვალისწინებით, დაწესებულებას არ გააჩნია საკმარისი რესურსი აღნიშნული რაოდენობის სტუდენტთა ნაკადის მისაღებად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ხის მხატვრული დამუშავება“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 28 პროფესიული სტუდენტით — ორ ცვლაში სწავლების პირობით.

**ინფორმაციის ტექნოლოგიების მხარდაჭერა:** 26 ადგილი (დაწესებულების მიერ მოთხოვნილი 45);

დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ მოთხოვნილი იყო პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა — 45 სტუდენტი. ადგილზე დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ პროგრამისთვის გამოყოფილ B ტიპის გარემოში განთავსებულია სტანდარტის შესაბამისი მხოლოდ 13 პერსონალური კომპიუტერული კომპლექტი. არსებული ინფრასტრუქტურის, ფართობის გამტარუნარიანობისა და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის გათვალისწინებით (ორცვლიანი სწავლების რეჟიმისა და B გარემოს ტევადობის გაანგარიშებით), მოთხოვნილი 45 სტუდენტისთვის სწავლის შედეგების ჯეროვნად მიღწევა ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი. შესაბამისად, აღნიშნული რესურსი იძლევა შესაძლებლობას, სწავლის შედეგები ეფექტიანად დაუდასტურდეს მაქსიმუმ 26 პროფესიულ სტუდენტს.

**საფინანსო სერვისები:** 15 ადგილი (დაწესებულების მიერ მოთხოვნილი 45);

დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „საფინანსო სერვისები“ მოთხოვნილი იყო პროფესიულ სტუდენტთა 45-ადგილიანი ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა, რაც ითვალისწინებდა სამი 15-სტუდენტიანი ჯგუფის ფორმირებას. ექსპერტთა ჯგუფმა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის შესაბამისობა შეაფასა დაწესებულების მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. შეფასებისას კომპლექსურად იქნა გათვალისწინებული პროგრამის სპეციფიკა, სასწავლო გარემოების გამტარუნარიანობა, მატერიალური და პროგრამული რესურსები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და კომპეტენცია, მათი მოდულების მიხედვით განაწილება, საათობრივი დატვირთვა და ურთიერთჩანაცვლების შესაძლებლობა.

ვიზიტის ფარგლებში დათვალიერდა პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო გარემოები. ადგილზე პრაქტიკული დემონსტრირების საფუძველზე შეამოწმა პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილი ALTA SOFTWARE B6-ის ფუნქციონირებაც. ადამიანური რესურსის შეფასებისას ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა არა მხოლოდ განაცხადში მითითებული დარგობრივი მიმართულების პროფესიული განათლების მასწავლებლების საერთო რაოდენობა, არამედ მათი კონკრეტული მოდულების მიხედვით განაწილება, ფაქტობრივი დატვირთვა, პრაქტიკული კომპეტენცია და საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთის ჩანაცვლების შესაძლებლობა.

დადგინდა, რომ ძირითადი პროფესიული მოდულების მნიშვნელოვანი ნაწილის განხორციელებაში ჩართულია სამი ადმინისტრაციული ფუნქციის მქონე თანამშრომელი, რომელთაგან ერთ-ერთი პროგრამის ხელმძღვანელია. ადმინისტრაციული პერსონალის გარეთ განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართული არიან ცალკეული მოდულებისა და პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებაში. შესაბამისად, პროფესიული მოდულების განხორციელების მოცულობის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია ადმინისტრაციული და სასწავლო ფუნქციების შეთავსება და თითოეული განმახორციელებლის რეალური საათობრივი დატვირთვა.

დაწესებულების შიდა რეგულაციის თანახმად, ადმინისტრაციულ თანამშრომელს პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქციით კვირაში არაუმეტეს 12-საათიანი სასწავლო დატვირთვის შესრულება შეუძლია. აღნიშნული შეზღუდვა ერთი ჯგუფის სასწავლო პროცესის ფარგლებში იძლევა პროფესიული მოდულების დატვირთვის თანმიმდევრულად გადანაწილებისა და ადმინისტრაციული და სასწავლო ფუნქციების შეთავსების შესაძლებლობას. მეთოდოლოგიის შესაბამისად შეფასდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა ურთიერთჩანაცვლების შესაძლებლობაც. ცალკეულ პროფესიულ მოდულზე, მათ შორის მოდულზე „უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციების განხორციელება“, წარმოდგენილია ერთი განმახორციელებელი. რამდენიმე სხვა პრაქტიკული ხასიათის მოდულისთვის განსაზღვრულია ორი განმახორციელებელი; წარმოდგენილი ადამიანური რესურსი იძლევა 15 პროფესიული სტუდენტისთვის პროფესიული მოდულების შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირების მიერ განხორციელების შესაძლებლობას. ამასთან, სამი ჯგუფის მასშტაბით განხორციელების შეფასებისას არსებითი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ განმახორციელებელთა ნომინალურ რაოდენობას, არამედ თითოეულ მოდულზე სრულფასოვანი ჩართულობის, დატვირთვის გადანაწილებისა და ჩანაცვლებადობის შესაძლებლობის დადასტურებას.

მატერიალური და პროგრამული რესურსების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოდულების მიხედვით განაწილების, ადმინისტრაციული პერსონალის სასწავლო დატვირთვისა და განმახორციელებელთა ურთიერთჩანაცვლების შესაძლებლობის ერთობლივი შეფასებით, ვიზიტის ეტაპზე დადასტურდა ერთი 15-სტუდენტიანი ჯგუფისთვის პროგრამის თანმიმდევრულად, ხარისხიანად და მდგრადად განხორციელების შესაძლებლობა. ამასთან, 15 პროფესიული სტუდენტისგან შემდგარი ჯგუფი აღემატება პროგრამის

საპროგნოზო ბიუჯეტით განსაზღვრულ რენტაბელობის მინიმალურ ზღვარს, რაც პროგრამის ფინანსურად მდგრადად განხორციელების შესაძლებლობასაც ადასტურებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საფინანსო სერვისები“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 15 პროფესიული სტუდენტით - ერთი ჯგუფით. აღნიშნული რაოდენობა შეესაბამება დაწესებულების მეთოდოლოგიით განსაზღვრულ კრიტერიუმებს და უზრუნველყოფს არსებული მატერიალური, პროგრამული და ადამიანური რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას, პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სათანადო განაწილებასა და სასწავლო პროცესის უწყვეტად და ხარისხიანად წარმართვას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა, აღნიშნა, რომ წარმოდგენილ ყველა პროგრამასთან მიმართებით შეცვლილია პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, რასაც დაწესებულებაც დაეთანხმა. მან დასვა კითხვა, თუ რამ გამოიწვია კოლეჯის მხრიდან რესურსების არასათანადოდ შეფასება, რამაც თავის მხრივ განაპირობა მოთხოვნილი კვოტის მკვეთრი შემცირება, კერძოდ, ელექტრობის პროგრამაზე 45 მოთხოვნილი ადგილიდან მხოლოდ 7 სტუდენტის კვოტის განსაზღვრა. მან ასევე აღნიშნა, რომ კოლეჯი არ წარმოადგენს ახალბედა დაწესებულებას, მას გააჩნია სტუდენტების მიღების გამოცდილება და შესაძლებელი იყო პრაქტიკის დამატებითი ობიექტების მოძიება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, მიმოზა ღოლიჯაშვილმა, განმარტა, რომ ექსპერტებმა ადგილზე შეაფასეს არსებული რეალობა. დაწესებულების განმარტებით, მათ სათანადოდ ვერ დაითვალეს შესაბამისი რესურსები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ელექტრობის პროგრამა არის მაღალმოთხოვნადი, თუმცა 7-კაციანი კვოტის განსაზღვრა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი ექსკლუზიური უფლება გაფორმებული იყო მხოლოდ შპს „ენერგო-პრო ჯორჯიასთან“. მან ხაზი გაუსვა, რომ კოლეჯი დაეთანხმა ექსპერტთა დასკვნაში ასახულ მიგნებებს.

საბჭოს წევრმა, გოჩა გოგიტიძემ, აღნიშნა, რომ კოლეჯი გამოცდილი დაწესებულებაა და დაგეგმვის პროცესშივე უნდა განესაზღვრა საკუთარი შესაძლებლობები. მან ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ კვოტის შემცირება შეეხო რამდენიმე პროგრამას და დასვა კითხვა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და პროგრამების რენტაბელობის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტმა, ბექარ კილასონიამ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და პრაქტიკის ობიექტები. პრობლემა გამოიკვეთა სასწავლო გეგმასა და შპს „ენერგო-პრო ჯორჯიასთან“ გაფორმებულ მემორანდუმში, რომელიც ითვალისწინებდა ერთჯერადად მხოლოდ 7 სტუდენტის მიღებას. კოლეჯს გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულებები სამ პრაქტიკის ობიექტთან, თუმცა კონკრეტული სავალდებულო მოდულები (მე-4 და მე-5 სწავლის შედეგები) მხოლოდ „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ბაზაზე ხორციელდებოდა. არსებული სასწავლო გეგმა და დროითი ჩარჩო არ იძლეოდა ჯგუფების როტაციის საშუალებას, რის გამოც ექსპერტები იძულებულნი გახდნენ, რეკომენდაცია მიეცათ კვოტის შემცირებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, დასვა კითხვა, ხომ არ განიხილებოდა აღნიშნული სწავლის შედეგების ნაწილობრივ გადმოტანა ან სიმულაცია კოლეჯის შიდა ლაბორატორიულ ბაზაზე, რათა არ მომხდარიყო ადგილების 85 %-ით შემცირება, მით უმეტეს, თუ სტანდარტში პრაქტიკის ობიექტზე განხორციელება სავალდებულო მოთხოვნას არ წარმოადგენდა.

დარგის ექსპერტმა, ზაზა პაპიძემ განმარტა, რომ ელექტრული ტექნოლოგიის მოდული მოიცავდა წარმოების სტრუქტურის გაცნობას და სტანდარტში მითითებული იყო მისი საწარმოო გარემოში განხორციელების სარეკომენდაციო ხასიათი. თუმცა, უსაფრთხოების ნორმებიდან გამომდინარე, კომპანიას ხელშეკრულებაში მკაცრად ჰქონდა განსაზღვრული

არაუმეტეს 7 სტუდენტის მიღება. მან დასძინა, რომ კომპანიის სტრუქტურული ბიუროკრატიის გამო ხელშეკრულების ცვლილება თბილისის ცენტრალურ ოფისთან ხანგრძლივ პროცედურებს უკავშირდებოდა, რამაც შეაფერხა ადგილზე საკითხის ოპერატიულად გადაჭრა.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე გიგაშვილმა, გამოთქვა მოსაზრება, რომ კოლეჯს გააჩნია კარგი სიმულაციური მოწყობილობები და შესაძლებელი იყო ალტერნატიული გზების მოძიება, მათ შორის, სტუდენტთა როტაციული გრაფიკის შემუშავება. მან აღნიშნა, რომ რეგიონში ამ პროფესიაზე მაღალი მოთხოვნის ფონზე, ადმინისტრაციის მხრიდან პრაქტიკის განხორციელების პროცესის დაგეგმვას აკლდა მოქნილობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სრული კვოტის მოთხოვნა განპირობებული იყო მენეჯმენტის სტრატეგიით, რათა 2026 წლის საშემოდგომო და საგაზაფხულო მიღებებისთვის უზრუნველყოფილიყო სტუდენტთა ნაკადები, მათ შორის შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მეშვეობით რეგისტრირებული ჯგუფებისთვის. „ენერგო-პრო ჯორჯიასთან“ მიმართებით მან აღნიშნა, რომ უსაფრთხოების რისკების გამო კომპანიამ მხოლოდ 7 სტუდენტის დაშვება განსაზღვრა, ხოლო როტაციული გრაფიკი დამატებით ფინანსურ საათობრივ ანაზღაურებას მოითხოვდა. მან ხაზი გაუსვა, რომ ელექტრობის პროგრამის აღნიშნული შედეგი მოითხოვდა მაღალი ძაბვის ტრანსფორმატორთან დაკვირვებას, რაც რეგიონში მხოლოდ ამ კომპანიის ბაზაზე იყო შესაძლებელი. დაწესებულებამ გაიაზრა ექსპერტთა შენიშვნები, დაეთანხმა დასკვნას და გეგმავს მომავალში მემორანდუმის განახლების საფუძველზე კვოტის გაზრდის მოთხოვნას.

ავტორიზაციის ექსპერტმა, მიმოზა ლოლიჯაშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენა და არ იყო ვალდებული, უპირობოდ დათანხმებოდა კვოტის შემცირებას. მან დაადასტურა, რომ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე სხვა გამოსავალი არ არსებობდა, თუმცა კოლეჯს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების შემდეგ აქვს უფლება, კვლავ მოითხოვოს კვოტის ზრდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, ყურადღება გაამახვილა სხვა პროგრამებზეც და დასვა კითხვა, ხომ არ არსებობდა ანალოგიური პრობლემა „ვეტერინარიის“ პროგრამაზე. ავტორიზაციის ექსპერტებმა, მიმოზა ლოლიჯაშვილმა და ირმა არსენაშვილმა, განმარტეს, რომ ვეტერინარიის პროგრამაზე დაწესებულებას გაფორმებული აქვს 14 მემორანდუმი, გააჩნია მობილური მანქანა, მდიდარი მატერიალური რესურსი და მაღალკვალიფიციური პერსონალი, რის გამოც მოთხოვნილი 45-კაციანი კვოტა სრულად დამაკმაყოფილებელია. ექსპერტმა ირმა არსენაშვილმა, ასევე, აღნიშნა, რომ კერძო ფერმებთან ურთიერთობასა და ბიოუსაფრთხოების მონიტორინგს არეგულირებს ვეტერინართა ასოციაცია და სურსათის ეროვნული სააგენტო.

საბჭოს თავმჯდომარემ, ასევე, მიუთითა ტექნიკურ ცდომილებაზე ექსპერტთა დასკვნაში, კერძოდ, ინდიკატორ 2.4.1.4-ზე გაცემული განმავითარებელი რეკომენდაცია შინაარსობრივად მიემართებოდა უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ინდიკატორს და ითხოვა აღნიშნული ხარვეზის გასწორება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ – კოლეჯი „ოპიზარისთვის“ „ვეტერინარია“, „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“, „საფინანსო სერვისები“, „ხის მხატვრული დამუშავება“, „ელექტრობა“, „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“, „მსუბუქი ავტომობილების შიგა წვის ძრავას შეკეთება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

### **გადაწყვეტილება:**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ – კოლეჯ „ოპიზარს“ (ს/კ: 224066980) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „ვეტერინარია“, „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“, „საფინანსო სერვისები“, „ხის მხატვრული დამუშავება“, „ელექტრობა“, „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“, „მსუბუქი ავტომობილების შიგა წვის ძრავას შეკეთება“ (დანართი 1).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 27 აგვისტო.

**მეორე საკითხი:** შპს „სქილვილისთვის“ „Front-end პროგრამირება“, „ციფრული მარკეტინგი“, „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნათია მაწკეპლაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 19 ივლისის №988053 ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს „სქილვილის“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „Front-end პროგრამირება“, „ციფრული მარკეტინგი“ და „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“, შეფასება, ქალაქ ქუთაისის ლოკაციაზე დამატების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010

წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, ასევე, რამდენადაც პროგრამების დამატება ხორციელდებოდა ახალ ლოკაციაზე, დამატებით, „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის „დ.ა“ და „დ.ბ“ კომპონენტებით, აგრეთვე „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის „ე.ა“ და „ე.ბ“ კომპონენტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი განაცხადი და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი. აღნიშნული დღის წესრიგის შესაბამისად, 2026 წლის 3-4 აგვისტოს ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი შპს „სქილვილში“, ქ. ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის ქუჩა №26-ში. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა დაწესებულების დირექტორის მოადგილეს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამების ხელმძღვანელებსა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს. ასევე განხორციელდა სასწავლო გარემოების, ბიბლიოთეკისა და პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დათვალიერება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, პროგრამების განხორციელება დაგეგმილია როგორც დასწრებული, ისე დისტანციური სწავლების ფორმატით. დასწრებული სწავლებისთვის გათვალისწინებულია სასწავლო გარემოს მოწყობა გარკვეულ რაოდენობა პროფესიულ სტუდენტზე, რომლის გამოყენებითაც ორ ცვლაში შესაძლებელია გაორმაგებული პროფესიული სტუდენტის სწავლება, ხოლო დამატებით პროფესიული სტუდენტების სწავლება დაგეგმილია დისტანციური სწავლების კომპონენტის გამოყენებით. თუმცა, აღნიშნული გაანგარიშება ეფუძნება დაგეგმილ და არა ვიზიტის მომენტისთვის სრულად უზრუნველყოფილ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს.

ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე დათვალიერების შედეგების საფუძველზე განხორციელდა შესაბამისობის შეფასება, რომლის შედეგები დეტალურად არის ასახული ექსპერტთა დასკვნის შესაბამის ნაწილებში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სამივე პროგრამა მე-2 სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა მეტწილად შესაბამისად, კერძოდ, 2.2 კომპონენტში (პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები). ვინაიდან დაწესებულება ახალ ლოკაციაზე გეგმავდა პროგრამების განხორციელებას, შემოწმდა ასევე, მე-4 (პერსონალი და პროცესების მართვა) და მე-5 (მატერიალური და საინფორმაციო რესურსები) სტანდარტები, რომლებიც ასევე შეფასდა მეტწილად შესაბამისად.

დაწესებულებამ წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც დაგეგმილია გარკვეული აქტივობები

- 2.2.1.1 – პროგრამებისთვის საჭირო მატერიალური ტექნიკური რესურსების შეძენა;
- 2.2.1.3 – პროფესიული განათლების მასწავლებელთა გადამზადება სწავლებისა და შეფასების მიმართულებით;
- 4.1.2.1, 4.1.2.3 – დებულებისა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობების მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა და პირადი საქმეების შესაბამისობაში მოყვანა;
- 5.1 – იჯარის ხელშეკრულების გაფორმება და სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოების დასრულება;
- 5.2.1 – ქუთაისის ლოკაციაზე საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის სრული გამართვა და ინტეგრირება ერთიან მართვის სისტემაში.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის მომენტში მე-5 სართულზე გამოყოფილია საჭირო ფუნქციური სივრცეები (10 სასწავლო აუდიტორია, საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკა,

ადმინისტრაციული ოთახები, შშმ პირებისთვის ადაპტირებული სანიტარული კვანძები), თუმცა ჯერ არ არის წარმოდგენილი სრული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა.

პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლისა და გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გააჩნიათ დარგობრივი და პროფესიული კომპეტენცია. ნაწილი მათგანი იყვნენ ციფრული მარკეტინგისა და ხელოვნური ინტელექტის სტანდარტების შემუშავების ინიციატორები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა, იკითხა, თუ როგორ არის დაგეგმილი სასწავლო პროცესში პედაგოგებისა და პროფესიული სტუდენტების მიმართ ტექნიკური მხარდაჭერის გაწევა, ასევე, პროფესიული მასწავლებლების სწავლება-სწავლისა და გადამზადების პროცესის განხორციელება. ავტორიზაციის ექსპერტმა, ნათია მაწკეპლაძემ, განმარტა, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო განმახორციელებელთა სრული ორგანიზება. ადგილზე დახვდნენ როგორც მოქმედი, ისე ახლად აყვანილი პროფესიული მასწავლებლები. მოქმედი პედაგოგების შემთხვევაში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო სტუდენტთა და მასწავლებელთა საჭიროებებისა და კმაყოფილების კვლევები, ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტაცია, სადაც ასახული იყო სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგები და დაგეგმილი გადამზადების ღონისძიებები. რაც შეეხება ახლად აყვანილ მასწავლებლებს, რომელთაც გააჩნდათ დარგობრივი კომპეტენცია, თუმცა არ ჰქონდათ სწავლებისა და შეფასების გამოცდილება, დაწესებულებამ წარადგინა სამთვლიანი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა მათ დამატებით კონსულტირებასა და გადამზადებას სასწავლო პროცესის დაწყებამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, დააზუსტა კითხვა შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასთან დაკავშირებით. ავტორიზაციის ექსპერტმა, ნათია მაწკეპლაძემ, აღნიშნა, რომ ვინაიდან დაწესებულება პირველად იწყებს აღნიშნული ახალი სტანდარტების პროგრამების განხორციელებას, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების ვადები მკაფიოდ არის გაწერილი. მან ასევე დასძინა, რომ წარმოდგენილი პედაგოგები თავად იყვნენ პროგრამების შემუშავების ინიციატორები და დეტალურად იცნობენ სასწავლო კურსებს.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ შემოწმების პროცესში მისთვის მნიშვნელოვანი იყო ტექნიკურ მოწყობილობებში სატესტო ვებგვერდებისა და გაფართოებების ნახვა, რაც ადგილზე დაინსტალირებული არ დახვდა, თუმცა მასწავლებლებთან შეხვედრისას გამოიკვეთა მათი კვალიფიკაციის ეტაპობრივი ამაღლების მზაობა. ექსპერტის შეფასებით, არსებული აუდიტორიები, მოთხოვნილი კვოტა და პედაგოგიური შემადგენლობა შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს. მან ასევე დადებითად შეაფასა ფუნქციონირებადი ელექტრონული ბიბლიოთეკის რესურსი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, განმარტა, რომ ვინაიდან დაწესებულება წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმით, ბუნებრივია, რომ გარკვეული კომპონენტები ვიზიტის მომენტში სრულად მზადყოფნაში ვერ იქნებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს „სქილვილისათვის“ „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“, „ციფრული მარკეტინგი“ და „Front-end პროგრამირება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ქალაქ ქუთაისის ლოკაციაზე დამატების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

## გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს „სქილვილს“ (ს/კ: 406258730) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“, „ციფრული მარკეტინგი“ და „Front-end პროგრამირება“ (დანართი 2). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 27 აგვისტო.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი შპს „სქილვილში“ 4.1, 4.2, 5.1, 5.2 კომპონენტებში, ასევე, 2.2, კომპონენტში სამივე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, კერძოდ: „Front-end პროგრამირება“, „ციფრული მარკეტინგი“ და „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ექსპერტთა ადგილზე ვიზიტი ქ. ქუთაისში, ხოლო მონიტორინგის განხორციელების საბოლოო ვადად განისაზღვროს 2026 წლის 30 ნოემბერი.

**მესამე საკითხი:** სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღაში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

## საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

## ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ბექარ კილასონიამ, წარმოადგინა 2026 წლის 7 ივლისს ქალაქ ქობულეთში (რუსთაველის ქუჩა №114) და ქალაქ ხულოში განხორციელებული

არაგეგმიური მონიტორინგის შედეგები. მონიტორინგის მიზანი იყო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ ცალკეული კომპონენტების დისტანციური სწავლების ფორმით განხორციელების შესაძლებლობის შეფასება.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა სრულად არ ხორციელდება დისტანციურად. დისტანციური სწავლების ფორმატი გათვალისწინებულია მხოლოდ შემდეგ მოდულებზე: უცხოური ენა, ინფორმაციული წიგნიერება, რაოდენობრივი წიგნიერება, გაცნობითი პრაქტიკა და დარგობრივი ინგლისური. აღნიშნული მოდულები წარმოადგენს თეორიულ კომპონენტს და არ მოიცავს პრაქტიკულ შედეგებს. აღნიშნა, რომ დისტანციური სწავლების შემთხვევაშიც შეფასება და შედეგების დადასტურება მოხდება დაწესებულებაში, ადგილზე. დაწესებულება ფლობს ლიცენზირებულ Microsoft Teams-ის პროგრამას, ელექტრონულ სასწავლო მასალებსა და ელექტრონულ ბიბლიოთეკას. პროფესიული სტუდენტის ეკრანთან გასატარებელი დრო დღეში არ აღემატება 2 საათს. ქობულეთში გამოყოფილია 15 ინდივიდუალური კომპიუტერი სამუშაო მაგიდით, ხულოში – ანალოგიური რაოდენობა. დაგეგმილია სწავლება 2 ცვლაში, თითოეულ ლოკაციაზე 30 პროფესიული სტუდენტით (ჯამში 60).

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია: ქობულეთში – 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი (3 დარგობრივი, 10 ზოგადი მოდულის განმახორციელებელი); ხულოში – 8 პროფესიული განათლების მასწავლებელი (3 დარგობრივი, 5 ზოგადი მოდულის განმახორციელებელი).

ყველა განმახორციელებელს გააჩნია ონლაინ სწავლების გამოცდილება, ასევე დაწესებულებამ განახორციელა დამატებითი ტრენინგები Microsoft Teams-ის პროგრამის გამოყენების თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, დასვა კითხვა მოდულთან „გაცნობითი პრაქტიკა – ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ დაკავშირებით, სადაც გათვალისწინებულია დისტანციური სწავლების ფორმატი. მან იკითხა, თუ რამდენად უზრუნველყოფს აღნიშნული ფორმატი პრაქტიკული მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას და რა კონკრეტული მექანიზმით გადაამოწმა ექსპერტთა ჯგუფმა მისი ეფექტიანობა.

ავტორიზაციის ექსპერტმა, ბექარ კილასონიამ, განმარტა, რომ აღნიშნული მოდული წარმოადგენს თეორიულ ნაწილს და არ მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტს. მოდულის ფარგლებში სტუდენტები ეცნობიან დასაქმების სფეროებს, კარიერულ შესაძლებლობებსა და სამოტივაციო წერილის მომზადების პრინციპებს. ასევე აღნიშნა, რომ იგივე მიდგომა ვრცელდება „ინფორმაციულ წიგნიერებაზე“, სადაც ასევე მხოლოდ თეორიული კომპონენტია წარმოდგენილი. ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ დისტანციურად სწავლების მიუხედავად, შეფასების კომპონენტი და სწავლის შედეგების დადასტურება ხორციელდება უშუალოდ დაწესებულებაში, ადგილზე. გარდა ამისა, კოლეჯი სარგებლობს Microsoft Teams-ის ლიცენზირებული პროგრამით, ხოლო პედაგოგიური პერსონალი ფლობს შესაბამის ტექნიკურ კომპეტენციას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, ასევე დასვა დამაზუსტებელი კითხვა ექსპერტთა არაგეგმიური ვიზიტის დღეს (2026 წლის 7 ივლისი) პროგრამის დამტკიცების აქტში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით (ბრძანება №01.04.486) და იკითხა, ხომ არ მიუთითებდა ეს ვიზიტის მომენტში დოკუმენტაციის უზუსტობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტმა, ბექარ კილასონიამ, განმარტა, რომ ცვლილება ეხებოდა ხულოს ადგილმდებარეობაზე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დამატებას. რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, სადაც უხვი ნალექისა და დიდთოვლობის გამო შესაძლოა შეიქმნას საგზაო ინფრასტრუქტურის პრობლემები და გზების მიუვალობა, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით, პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად დაწესებულებამ დაამატა კიდევ ერთი კადრი. აღნიშნული პირი წარმოადგენს ამავე პროგრამის წარმატებულ

კურსდამთავრებულს, რომელსაც უკვე ჰქონდა ქობულეთის ბაზაზე სწავლების გამოცდილება. ცვლილება განხორციელდა უშუალოდ ვიზიტის ფარგლებში, რამაც ხელი შეუწყო სასწავლო პროცესის სტაბილურობასა და შეუფერხებლობას. ექსპერტმა ასევე დააზუსტა, რომ აღნიშნული პედაგოგი დატვირთულია მხოლოდ სამ მოდულზე, რაც არ იწვევს გადატვირთვას, ხოლო კოლეჯი სისტემატურად ახორციელებს პერსონალის გადამზადებასა და ტრენინგებს. მან დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულებაში სრულად არის უზრუნველყოფილი ადაპტირებული გარემო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღაში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ მონიტორინგის დასრულების შესახებ (ქ. ქობულეთი, დ. ხულო) საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0


#### **გადაწყვეტილება:**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კოლეჯ „ახალ ტალღაში“ ქალაქ ქობულეთსა და დაბა ხულოში (ს/კ: 246954620) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 27 აგვისტო.

**დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 14:35 საათზე.**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების  
ავტორიზაციის საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
კაკაბაძე ელენე



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების  
ავტორიზაციის საბჭო  
საბჭოს მდივანი  
ბუთხუზი ნათია





დანართი 1

|                                                                                                                                                                                                     |                                                |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------|
| პროგრამის სახელწოდება                                                                                                                                                                               | ვეტერინარია                                    |
| პროფესიული განათლების დონე                                                                                                                                                                          | მეხუთე                                         |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია                                                                                                                                                                           | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი                                                                                                                                                                        | 0841                                           |
| პროგრამის განხორციელების ენა                                                                                                                                                                        | ქართული                                        |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები                                                                                                                                                      | ქ. ახალციხე, შოთა რუსთაველის ქ. # 111;         |
